



# მუშის სიტყვა

ქართულების წინაშე

  
თარგმანი

12-486

ა. ლომთათეძისა.



ფასი 4 კაპ.

თ ფ ი ლ ი ს ი

ელექტრომბეჭდავი ამ. „შრომა“, მიხეილის 36., № 65  
1906

3. გაფრინდოს წევნის მაღაზის გარემონტისათვე

კუთაისის  
Городская

БИБЛИОТЕКА

отд. № XII ჩ. № 486

# მუშას სიტყვა

მსაჯულების წინაშე

თარგმანი

41.

ა. ლომთათიძისა

თ ფ ი ლ ი ს ი

ელექტრომებლავი ამს. „შრომა“, მიხეილის პრ., № 65.  
1906

Дозволено цензурою. Тифлисъ. 6-го марта, 1906 г.

# მუშის სიტყვა

მსჯელების წინაშე

1868 წელს, მაისს, პარიზში გაარჩიეს საქმე წიგნთ  
შეკაზმავის ვარლენისა, მღებავის მალონისა და შვიდის მა-  
თის ამხანაგ მუშისა. ამათ ბრალსა სდებლნენ ნებადაურ-  
თველ საზოგადოებაში მონაწილეობის მიღებისათვის. ეს  
საზოგადოება სამის წლის წინად იყო დაარსებული და  
სახელად „მუშათა საერთაშორისო საზოგადოება“ ერქვა.  
1868 წლის გაზაფხულზე იგი ჯერ კიდევ პატარა იყო,  
მაგრამ იმდენი ძალა და გავლენა მოეხვეჭნა, რომ უკვე  
ჩაეფიქრიანებინა მუშათა კლასის ყველა მტერი, ყველა  
მდიდარი, სხვისი შრომით გამაძლარი (ბურჟუაზია). საქმე  
ის არის, რომ, ამ საზოგადოების დაარსების შემდეგ, მუ-  
შები პირველად შეუდგნენ დამოუკიდებელს, ყველა არა  
მუშების პარტიებისაგან გამოცალკევებულს მუშაობას, მა-  
შინ როდესაც წინად მუდამ იმის იმედი ჰქონდათ, რომ  
მათ გააბედნიერებენ ამა თუ იმ მაღალის წრის ადამიანე-  
ბი და ასე ტყუილად შეჰქონდნენ მათ.

მაგრამ ბოლოს იპოვნეს უკეთესი გზა თავიანთ ინ-  
ტერესების დასაცავად, დაიარსეს „საერთაშორისო საზო-  
გადოება“ და ყველა ქვეყნის მუშებმა ერთხელ და სამუ-  
დამოდ გადასწყვიტეს თვითონვე მოაწყონ თავიანთი სა-  
ქმე, არ მიმართონ ხელმძღვანელობისთვის არავის, რაც  
უნდა კეთილის-მყოფელი იყოს იგი, და, შეერთებულის  
ძალით, მოუპოვონ საუკეთესო მომავალი ყველა მშრო-  
მელთ. „მუშების განთავისუფლება თვითონ მუშების სა-

ქმე უნდა იყოსო“, დააწერეს ამათ თავიანთ დროშაზე, მტკიცედ იცავლენ იმას და იღებდნენ თავიანთ წრეში მხოლოდ ისეთ ადამიანებს სხვა წრეებიდან, რომელნიც სავსებით გადასულიყვნენ მუშების მხარეზე და არა სურ-დათ, არ მიისწრაფოდნენ არაფრისადმი, გარდა მუშების საქმის მოწყობისა.

მეორე განსაკუთრებული თვისება ახალის საზოგა-დოებისა ის იყო, რომ იგი საერთაშორისო იყო. სხვა-დასხვა ქვეყნის მუშებმა კარგად გაიგეს, რომ მუშები ყველგან, ყველა სახელმწიფოში ერთნაირად იტანჯებიან, რომ ერთი და იგივე მტრები ჰყავთ, რომ, რაც უნდა იდავონ და იჩხუბონ ამ მტრებმა ურთიერთშორის, ისინი მაინც მუშების წინააღმდეგნი იქნებიან მუდაშ,—მიხვდნენ ყოველსავე ამასი, გადასწყვიტეს შეერთლენ, გაერთიანდნენ და ხელი-ხელ ჩაკიდებულნი გასწიონ საუკეთესო მო-მავალის მოსაპოებლად. გავიდა ამდენი ხანი და დიდებული ხმა: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით“ — მედგრად გაისმის ყველა ქვეყნებში, სწვდება ყველა და-ჩაგრულს და გაყვლეფილს მუშას, რომელ ეროვნებისაც უნდა იყოს იგი, ულვიძებს სოლიდარობა-ერთობის სურ-ვილსა და მნიშვნელობას და აერთებს ერთ დიდებულ დროშის ქვეშ, რომლისათვისაც, ერთხელაც არის, არ ულალატნიათ მისს მესვეურთ. რომელ მუშასაც შეგნებუ-ლი აქვს თავისი მდგომარეობა, მას კარგად ესმის, ვინ არის მისი ნამდვილი მტერი. დასავლეთ ევროპის მუშე-ბი, — გერმანელები, მაგალითად, — თავიანთ გერმანელ ხაზეინებსა და ბატონებს უცხო ადამიანებად სთვლიან, თა-ვიანთ მტრებად ჰყავთ იგინი დასახული, საფრანგეთის, ინგლისისა და ყველა სხვა ქვეყნის და ეროვნების მუშებს თავიანთ მეგობრებათა და ამხანაგებად იმჩნევენ; მებათა და ამხანაგებად სთვლიან ისინი აგრეთვე რუსეთის ყველა

შუშებს და მტკიცედ არიან დარწმუნებული, რომ, როგორც-კი რუსეთის მუშები. შეიგნებენ თავიანთ ინტერესებს, ისინიც, სხვა ქვეყნების მუშებთან ერთად, იბრძოლებენ საუკეთესო საკაცობრიო მომავლისთვის.

თუ რა დიდი ძალა მოიპოვეს მუშებმა ამ საერთაშორისო კავშირით, ეს მაშინვე აღმოჩნდა გაფიცვების დროს. გაფიცვები წინადაც ხდებოდა ყველგან, ისე როგორც რუსეთში ხდება ხოლმე; მაგრამ რადგან გაფიცულებს მხოლოდ თავიანთის ძალების იმედი ჰქონდათ, ამიტომ, ხშირად, ხაზეინებს ძლიერ უადვილდებოდათ ხოლმე მათთან გამკლავება და შიმშილით აიძულებდნენ მუშებს დამარცხებულნი დაბრუნებულიყვნენ თავიანთ სახელოსნებში. ხშირად საქმე უფრო ცუდად თავდებოდა. თვითონ გაფიცვისთვის ევროპაში თითქმის არსად არა სჯიან. მაგრამ პოლიციისა და ჯარის ჩარევისთვის საჭიროა, რომ რამე არეულობა მოხდეს, რომ თვითონ მუშები წაიჩხუნენ ან დაამტკრიონ რამე ფაბრიკა-ქარხნებში. ამიტომ ყოველთვის, როცა კი დიდი გაფიცვა მოხდებოდა, დაჭირავებელთ ძლიერ სურდათ და ცდილობდნენ კიდეც, რომ ჩეკარა მომხდარიყო რამე საიმისო. საჭირო იყო მცირე არეულობა, რომ ჯარი გაჩენილიყო, დაეჭირა მეთაურები, ესე-იგი ყველა უფრო გაგებული და თამამი მუშები; ვინც წინააღმდეგობას გასწევდა, ხვრეტდენ, დანარჩენები-კი, უხელმძღვანელოდ დარჩენილები, ხელახლა იწყებდნენ მუშაობას. ამას გარდა ხაზეინებს კიდევ სხვა საშუალებაც ჰქონდათ გაფიცვის ასალაგმავად. ისინი ხშირად გამოიწერდნენ ხოლმე გაფიცულ მუშების ადგილზე ვინმე სხვა მუშებს, მეზობელ ქალაქებიდან ანა და სხვა სახელოსნოებიდან.

„საერთაშორისო საზოგადოება“-მ იცოდა, რომ გაფიცვებით იმდენად ვერ გააუმჯობესებდა მუშების ბედ-

იღბალს, მაგრამ იცოდა აგრეთვე ისიც, რომ უგაფიცვობა არ მოხერხდება არსებულ პირობებში, რომ ხშირად გაფიცვაა ერთად-ერთი იარალი, რომლის წინაშე იძულებული ხდება დამქირავებელი აღარ დაუკლოს ისე-დაც მცირედს ხელფასს, და ამიტომ მან გადასწყი-ტა, რადგან უგაფიცვობა შეუძლებელია, ყოველი ღო-ნისძიება იქმნას ხმარებული და ყოველნაირად შეეწყოს ხელი, რომ გაფიცვამ გაიმარჯვოს. გადასწყიდებოდა თუ არა რომელიმე მსხვილი გაფიცვა, მაშინვე „საერთაშორი-სო საზოგადოების“ მიერ ამორჩეული პირები აცნობებდნენ ამას თავიანთ თანამოწევრეებს სხვა ქალაქებსა და ქვეყნებ-ში და ყოველგან, სახელოსნოებსა და ფაბრიკა-ქარხნებ-ში. იმართებოდა ფულის კრეფა გაფიცულების სასარგებ-ლოდ. მუშები იხდიდნენ, ვისაც რამდენი შეეძლო, — კა-პიკს, შაურს, ორ შაურს, მაგრამ, რადგან ფულის გამ-ლებნი ათასობითა და ათი ათასობით იყვნენ, ამიტომ კა-პიკობითა და შაურობით დიდძალი ფული იკრიბებოდა და გაფიცულებიც იმარჯვებდნენ შიმშილთან ბრძოლაში. შეწყდა აგრეთვე არეულობაც გაფიცვების ღროს. რად-გან მუშებს გამარჯვების იმედი ჰქონდათ, ამიტომ სცდი-ლობდნენ არ მიეცათ ჯარისა ან პოლიციისათვის არა-ვითარი საბაბი საქმეში ჩასარევად. ვეღარც მუშების გა-მოწვევა მოახერხეს დამქირავებლებმა სხვა ქალაქებიდანა და ქვეყნებიდან. „საერთაშორისო საზოგადოება“ მაშინვე აცნობებდა ყელას, რომ არავინ არ მიჰქირავებოდა იმ პირს, რომლის ქარხანასა ან ფაბრიკაზედ გაუიცვა იქ-ნებოდა გამართული. ერთის სიტყვით, მას შემდეგ, რაც საქმეში ჩაერია „საერთაშორისო საზოგადოება“, ხაზეინები იძულებულნი ხდებოდნენ, უმეტეს შემთხვევაში, დაეთმოთ მუშებისათვის. ეს აშინებდა და აცოფებდა დამქირავებელ-თა და ბურუუაზიას და ამიტომაც ჰკრეს ბუკა და ნაღა-

რას და მორთეს ყვირილი, აელაგმათ ასეთი მავნებელი საზოგადოება.

პირველად ამ საზოგადოების დევნას შეუდგა წაფრანგეთის მთავრობა იმპერატორ ნაპოლეონ მესამის მეფობის დროს. მთავრობამ სამართალში მისცა ერთი მეორეზე ყველა მუშა, ვისაც-კი „საერთაშორისო საზოგადოების“ პარიზელი წევრები ირჩევდნენ თავიანთის საქმეების საწარმოებლად (საჭირო იყო ფულის შეკრება, ახალ წევრების მიღება, მიწერ-მოწერა ამხანაგებთანა და სხ.) ასეთი იყვნენ, სხვათა შორის, ვარლენი და მისი რვა ამხანაგი. როცა სამართალში მისცეს, ამათ კარგად მოილაპარაკეს ერთად, რა უნდა ეთქვათ მოსამართლეთათვის და ყველას სამაგიეროდ სიტყვის წარმოთქმა მიანდეს ვარლენს. ამ წერილის ბოლოში მოყვანილია ვარლენის სიტყვის საუკეთესო და არსებითი ნაწილი.

მაგრამ, სანამ ამ სიტყვას შევუდგებოდეთ, რამდენსამე სიტყვას ვიტყვით თვითონ ვარლენსა და მისს ბედილბალზე.

ვარლენი 27 წლისა იყო, როცა სიტყვა წარმოსთქვა მოსამართლეთა წინაშე. ოცის წლისა მოვიდა პარიზს. წერა-კითხვას ძლივ-ძლივობით ახერხებდა. აქ ჩქარა გაიგო, რომ არის ისეთი მოძღვრება, რომელიც ასწავლის, რომ მუშებს შეუძლიანთ და კიდევაც უნდა დააღწიონ თავი თავიანთ მწარე და მძიმე ხვედრს და რომ თვითონ მათზეა დამოკიდებული მათის საუკეთესო მომავალის მოპოება. ვარლენი დააინტერესა ამ მოძღვრებამ, აღეძრა სურვილი, რაც შეიძლება, მეტი სცოდნოდა და შეუდგა სწავლას. მთელი საღამოები და ზოგჯერ ღამეებიც იჯდა ხოლმე და წიგნებს კითხულობდა, რადგან დღისით წიგნების კაზმას უნდებოდა. როცა პარიზში დაარსდა „საერთაშორისო საზოგადოება“, ვარლენი ერთი პირველ წევრთაგანი გახდა

ამ საზოგადი ხელისა. ქართვის იგი ყველა ამხანაგისთვის პატივსაცემდა საყვარელ ამხანაგად გადაიქცა თავის ჭკუისა და, უმეტესად, საქმისადმი ღრმა ეროვნულობისათვის. იგი მუდამ მზად იყო უკანასკნელი ძალაც კი შეეწირნა მუშების საერთო საქმისთვის, რამდენჯერმე კრებებზედაც კი გაჰვიანეს ამხანაგებმა. ამ კრებებზე თავს იყრილნენ ყველა ქვეყნის ამორჩეული წარმომადგენელნი მუშებისა და ერთად სჯა-ბასობდნენ და სწყვეტავდნენ მუშათა კლასის საქმეს.

1868 წ. ვარლენი, როგორც უკვე ვთქვით, არჩეულ იქნა იმ კომისიაში. რომელიც განაგებდა „საერთაშორისო საზოგადოების“ პარიზის განყოფილების საქმეებს, რისთვისაც მიცემულ იქმნა პასუხის გებაში სხვა ამხანაგებთან ერთად. სასამართლომ ყველას სამ-სამი თვის ციხე და დაჯარიმება მიუსაჯა.

ციხიდან გამოსვლისთანავე, ვარლენი შეუდგა „საერთაშორისო საზოგადოების“ საქმეებს, მაგრამ ამ საქმეების წაყვანა ძალიან გაძნელდა. რადგან მთავრობა ატუსაღებდა საზოგადოების ყველა არჩეულ წევრს, ამიტომ მუშებმა გადა-სწყვიტეს, ფარულად ემოქმედნათ და კვლავ აშკარად აღარ მოეხდინათ არჩევნები. საზოგადოება-კი ამასობაში ელვა-სავით ედებოდა საფრანგეთს და უკვე რამდენიმე ათი ათასი წევრები ჰყავდა სხვა-და-სხვა ქალაქებში. ძლიერ ძნელი იყო ამოდენა წევრების ერთს მთელს ორგანიზაციაში თავის მოყრა, რადგან შეუძლებელი გახდა აშკარად მე-თაურების არჩევა. ყველაზე ერთგულათ და ენერგიულად შეუდგა ამ საქმეს ვარლენი. ამიტომ იგი ჩქარა საყოველ-თაო ხელმძღვანელი გადაიქცა, ყველას „სული“ და „გული“, როგორც შემდეგში სწერდნენ იმის შესახებ ამხანაგები. ჩქევისა და დახმარებისთვის იმას მიმართავდნენ ხოლმე ყველანი ყოველის მხრიდანა და ქალაქიდან, საცა კი იყვნენ საზოგადოების წევრნი. ის იყო, უმეტესად,

გაფიცულთათვის ფულის მოგროვების მეთაური, ის იყო საზოგადოების გაზეთის ყურის მგდებელი და მზრუნველი. ძნელია, წარმოიღებინოს აღამიანმა, ოოგორ ართშევდა ამო-ღენა საქმეს თავს ისეთი კაციც-კი, რომელსაც შეეძლო მთელი თავისი დრო შეეწირა ამ საქმეებისთვის: ვარლენს კიდევ უნდა ემუშავნა ლუკმა პურის მოსაპოებლად, პო-ლიციასაც უნდა დაჭმალვოდა ხშირად, მაგრამ, მიუხედა-ვად ამისა, დრო მუდამ ჰყოფნიდა და ორს წელზედ მეტს იდგა იგი საფრანგეთის მუშათა მოძრაობის სათავეში.

ბურუუაზიამ მოახერხა და ურთხელ კიდევ გაიმარ-ჯვა მაშინ ამ მოძრაობაზე. მუშები იძულებულნი გახდნენ • აჯანყებულიყვნენ ისეთ დროს, როცა მათ ჯერ კიდევ არა ჰქონდათ საკმაო ძალა საბოლოო გამარჯვებისთვის.

ვარლენი ამ აჯანყების დროსაც (1871 წლის 18 მარტს) ისეთივე მოწერა და თავდადებული მუშა იყო, როგორც უწინ; იგი იყო წევრი მუშათა მთავრობისა, რომელიც ორს თვეს განაგებდა ვეებერთელა ქალაქ პა-რიზს, განაგებდა ყველა სხვა მთავრობაზე უკუკიანესად და უპატიოსნესად, და შემდეგ, როცა პარიზში ბურუუა-ზიის მიერ გაგზავნილი ჯარი შევიდა, ვარლენი იბრძოდა უკანასკნელ სისხლის წვეთამდე, ცოცხალი გადარჩა, მა-გრამ მერე დაატუსაღეს ქუჩაში და დახვრიტეს ერთის გენერლის ბრძანებით სალდათებმა, რომელთაც მინდო-ბილი ჰქონდათ ვარლენის დახვრეტა. დიდხანს ატარეს იგი ქუჩა-ქუჩა და უფრო მოხერხებულ ადგილს ეძებდნენ სიკვდილით დასჯისთვის.

მუშების მტერი მეგაზეთე უკან დასდევდა ცნობის მოყვარეობის გულისათვის სალდათებს და დაესწრო ვარ-ლენის სიკვდილს. ის მეგაზეთე ასე სწერდა შემდეგში თა-ვის გაზეთში ვარლენის შესახებ:

„რაც უნდა დანაშაულობა ჩაედინოს იმ კაცს, იგი

მაინც მშვიდად მიღიოდა, თუმცა ლა იცოდა, რაც მოელოდა, და კვდებოდა ისეთის გამბედავობით, რომ მაყურებელს გული ეტკინებოდა". მთელი მისი სიცოცხლე ერთი მაგალითი იყო, — ამბობს ვარლენზე მისი ამხანაგი მალონი. არაჩვეულებრივი მოღვაწე, მუდამ გაბედული, მუდამ საქმის ერთგული და ამასთან მეტად წყნარი ვარლენი არასოდეს არა ფიქრობდა თავის თავზე. იმას დიდი ზნეობრივი გავლენა ჰქოდა ყველა ამხანაგებზე. მუშები თავის დღეში არ დაივიწყებენ ამ აღამიანს, რომელიც თავის ამხანაგებისა და მმებისთვის სკოცხლობდა, ბევრი რამ გააკეთა და სული დალია მათის გულისათვის.

აი ვარლენის სიტყვაც:

„თუმცა, ბატონებო, კანონის წინაშე თქვენ მოსამართლენი ხართ და ჩვენ კი ბრალდებულნი, მაგრამ, ნამდვილად-კი, ჩვენა და თქვენ ორს მებრძოლ პარტიას შევადგენთ. — თქვენ გინდათ, რაც უნდა დაეგემართოთ, დაიცვათ ის, რაც არსებობს, ჩვენ კი ვიბრძვით არსებულ წეს-წყობილების შესაცვლელად და დამნაშავენი ვართ იმისთვის, რომ იმისი შეცვლა გვინდა. მიუხედავად იმისა, რომ აღამიანის უფლებები უკვე გამოცხადებულია, მიუხედავად იმისა, რომ ხალხს წუთიერი დღესასწაული დაუდგა \*), ახლაც რამდენსამე კაცს სწყურია სისხლის ღვარი ააღინოს მოძმეთა შორის ბრძოლაში.

„ყოველივე სიტკიბოება ეძლევა აღამიანთა მცირედ

\*) ვარლენი ამით იგონებს ასის წლის წინად მომხდარ საფრანგეთის დიდ რევოლუციის, როცა ხალხმა გაანადგურა მეფის გვირჩვინი და ძალა, წართვა ყოველგვარი უპირატესობა თავად-აზნაურობასა და სამლედელოებას, მაგრამ თვითონ დარჩა მდიდრების, — ბურუუაზის ხელში. ამ ბურუუაზის ებრძოლა მესამოცე წლებში მუშათა სოციალისტური პარტია, რომელსაც ეკუთვნოდა ვარლენი.

რიცხვს, რომელნიც იმაზედ ფიქრობენ, რა იყიდონ კი-  
დევ თავიანთ ძალებით; მილიონობით შშრომელი ხალხი  
კი იტანჯება გაჭირვებასა და უვიცობაში, ითმენენ ულ-  
მობელს თელვას და რჩებიან ისევ ძველებურს უვიცო-  
ბასა და სიბრიყვეში, რაც უფრო სჭედავს და აწრობს.  
მათ მონურ ბორკილებს.

„თუ წვრილმანებზე გადავალთ, დავინახავთ, რომ მრე-  
წველობაში, რაც საჭიროა, იმისთვის მუშას ვერა შოუ-  
ლობენ, ძვირფასსა და უსარგებლო ნივთებს კი ძლიერ  
ბევრს აკეთებენ; მილიონობით ბავშვები, ღარიბ-ღატაკნი,  
გდიან ქუჩებში შიშველ-ტიტველნი, მაღაზიებში კი გამო-  
ტენილია საარაკო, ძვირფასი შალეულობა, რაზედაც და-  
ხარჯულა რამდენიმე ასი ათასი სამუშაო დღე. მუშას  
ხელფასი ყველაზე საჭირო რამისთვის არა ჰყოფნის, მის-  
გარშემო კი მუქთა-ხორა, უქმად დროს მატარებლები  
აუარებელ ფულს ფლანგავენ.

„მონობამ ზასცა ძველი ქვეყანა. თანამედროვე სა-  
ზოგადოებაც დაიღუპება, თუ არ მოეღება ბოლო ხალ-  
ხის უმეტესობის ტანჯვა-ვაებას, თუ იგი ისევ ძველებუ-  
რად განაგრძობს ფიქრს, რომ ყველამ უნდა იშრომოს და  
ითმინოს გაჭირვება, რათა ფუფუნებაში იყოლიოს რამ-  
დენიმე კაცი, იგი დაიღუპვის, თუ არ ისურვებს გაიგოს  
მთელი სიმკაცრე იმ წესწყობილებისა, რომელზედაც ზედ  
გამოჭრილია ასეთი შედარება (ვარლენი კითხულობს ხმა  
მაღლა ერთის სოციალისტურ უურნალიდან აღებულს  
ნაწყვეტს): „რას იტყოდი, მკითხველო, რომ გეცქირნა  
პურის ხორბლის ასაკენკად ჩამოფრენილ მოედებისა-  
თვის და შეგემჩნია, რომ ასი ფრინველისაგან ~~მოედებისა~~ ცდა  
ცხრამტი უზრუნველად ჭამის მაგივრად, გაფაციცებით  
აგროვებს ხორბალს ერთ ადგილას, თავისთვის ბზეს იტო-  
ვებს და ამ მოგროვებულ ხორბალს კი ერთს მტრედს

აძლევს, რომელიც, ჰესაძლებელია, ყველაზე უარესიც იყოს; ამასთან მტრედს, კარგა გაძლომის შემდეგ, დაეწყოს ყოყოჩიბა, აქეთ-იქით მიეფანტოს თავმოყრილი მარცვლები და დანარჩენ თავმოცდა ცხრამეტ მტრედს დაეცოს მისი სიმღიღრე და რომ ერთს რომელსამე მათვანს გაებედნოს ხორბლით სარგებლობა, ყველა დანარჩენები მისცვივნოდნენ მას და ფრთხები დაეგლიჯოთ... თქვენ, რასაკვირველია, არ გინახავთ არაფერი ამისი მზგავსი მტრედებს შორის, მაგრამ, სამაგიეროდ, სწორედ ისეთი წესები არსებობს ადამიანთა შორის, სწორედ ასე იქცევიან მუდამ ადამიანები“.

საშინელებაა ეს, მაგრამ სრული ჭეშმარიტებაა,— განაგრძო ვარლენმა თავისი სიტყვა.— განა ამისთანა თავმოცდა ცხრამეტს არ ეკუთვნის მუშა, რომელიც სილარიბეში იბადება, სიმშილში იზრდება, არ აცვია, არ ახურავს, თავშესაფარი არა აქვს ხეირიანი, იზრდება უდედოთ, რომელიც იძულებულია იაროს სამუშაოდ და უყურადღებოთ დასტოვოს ხოლმე იგი ათას ვაი-უბედურების ხელში, რაც ყოველ წუთს შეიძლება დაატყდეს თავს უპატრონოდ მიტოვებულ ბავშვს. ძლიერ ხშირად ენერგება მას ბავშვობაშივე ისეთი ავადმყოფობა, რომელიც მთელს სიცოცხლეს უწამლავს შემდეგ. მოვა თუ არა ცოტა ღონებზე, ძლივს 7—8 წლისა გახდება, იგი უკვე შრომის უდელში უნდა შეებას; მთელი დღე უნდა გაატაროს აუტანელს ჯაფაში მოწამლულ ჰაერიან სახელოსნოში, საცა მას უზრდელათა და გაუთლელად ეპყრიბიან, საცა იგი არარას სწავლობს, გარდა სიბილწები-წიერებისა! წამოიზრდება, მაგრამ ბედი მაინც არ გაულიმებს. გახდება ოცის წლისა, სალდათად წაიყვანებენ, ჩაამწყელევენ ყაზარმაში. ან გაპგზიენიან ომში, საცა ისე შეიძლება მოკვდეს, რომ ვერც კი გაიგოს, რაზე, რისთვის

ან ვისთვის იბრძოდა. თუ ცოცხალი დაბრუნდა, შეუძლია ცოლი შეირთოს.

„მაგრამ როცა ბავშვები გაუჩნდება, იგი იგებს მთელს საშინელებას გაჭირვებისას, სიძვირეს, საქმის უქონლობას. თუ ამ გაჭირვების გავლენით მოითხოვა თავის ხელფასის აწევა, მაშინ ინგლისი შიმშილით აიძულებს მას ჩაჩუმდეს, ბელგია ცხელ ტყვიებს მიართმევს პურის მაგიერ, იტალია დასაკანებს სუფთა ჰაერის წილ, ესანია ალყას შემოარტყამს, ხოლო პარიზში სასამართლოსკენ წაათრევენ...“ სასამართლოს თავმჯდომარემ აქ გააწყვეტინა ვარლენს: „პარიზში,—სთქვა მან — არავის არ მიათრევენ. ბრალდებულნი სასამართლოში მოჰყავთ და ხშირად მათ მეტად დაყვავებით ეპყრობიან. წაიღეთ უკან თქვენი უკანასკნელი სიტყვები, თორემ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ნებას არ მოგცემთ განაგრძოთ თქვენი თავდასაცველი სიტყვა.“

ვარლენმა რჩევა ჰქითხა დანარჩენ ამხანაგებს და დას-თანხმდა უკან წაელო სიტყვა „წაათრევენ.“

**თავმჯდომარე.**—თქვენ არავის არ უნდა ჰქითხოთ რჩევა. მიგაქვთ თუ არა უკან თქვენის ნებით თქვენი სიტყვები.

**ვარლენი.**—მიმაქვს.

**თავმჯდომარე.**—განაგრძეთ სიტყვა.

**ვარლენი.**—„ყველგან საშინელ გაჭირვებაში ატარებს მუშა თავის სიცოცხლეს, ყველგან აუტანელია იმისი მდგრამარეობა, ყველგან სჩაგრავენ. სანამ მოწიფულია, იმისთვის არაფერია სამხიარულო და შიშით უნდა ძლიდოს სიბერეს. თუ ოჯახი არა ჰყავს, ან თუ ოჯახი ძლიერ დარიბია, მაშინ, დაჭკარგავს თუ არა იგი სამუშაო ჯანს, ზაატუსალებენ მათხოვრობისა და თრევა-ლოდვი-სათვის და ჩახრჩობენ საკანში, როგორც დამნაშავეს.

„იმან ოთხჯერ მეტი იმუშავა იმაზე, რაც დახარჯა თავის სიცოცხლეში. რა უყო საზოგადოებამ სამ მეოთხედ ნაწილს მისის შრომისას? მან იგი მეასე მტრედს მისცა. ამ მეასეს,— შვილს მდიდრის მშობლისას,— დაბადებიდანვე გარს ახვევია ყოველნაირი შზრუნველობა, ყოველნაირი ფუფუნება. იმისი პატარაობა ალერსა და კმაყოფილებაში მიღის. მასწავლებლები ყველაფერს ასწავლიან. იმისი ახალგაზდობა სავსეა სიტყბოებით: ფუფუნება, თამაშობა, ქეიფობა და გასასყიდი სიყვარული, — ყველაფერი მის ხელთ არის, ყველაფერი მზად არის ემსახუროს მას.

„როცა ყველაფრით გულს მოიმსუსებს, ქალს ირთავს, და ოჯახი მოჰყენს მას ჩემს სიხარულს. ომში, თავის მაგივრად, ქირით აიყვანა და გაპეზავნა ძმა იმ ქალი. შვილისა, რომელიც ოდესლაც ისყიდა, ან შეაცდინა მაგრამ მაინც გუნდრუკს უკმევენ და ქება-დიდებას ასხა მენ მის პატრიოტიზმს, პატივსა სცემენ, ჩინებითა და ორ დენებით ავსებენ! „მისთვის არ არის საშიში სიბერე, იწინ მხოლოდ თავის პატივმოყვარულის ვნებების შეს რულებას ხედავს, ის ხომ მდიდარია!

„მიუხედავად ამისა, ამ ბედნიერს არასოდეს არ უმუშავნია, არასოდეს არ უწარმოებია არაფერი; მთელი იმისი სიცოცხლე გატარებულია ოთხმოცდა ცხრამეტის ძმის ოფლით სარგებლობაში...

„ასეთს სიღარიბესა და ფუფუნებაში, ტანჯვასა და მონობაში, უვიცობასა და გარყვნილებაში, ერთი რა გვანუგეშებს: ჩვენ ვიცით ისტორიიდან, თუ როგორ სუსტი ძირი აქვს იმ წყობილებას, რომლის წყალობითაც ხალჭი სიმშილით იხოცება ყოველნაირის ქვეყნიურის სიკეთით აღვსილ სასახლეების კარებთან. ჩაუკვირდით კარგად და დაინახავთ ყრუ მძულვარებას მდიდართა კლასსა რომელიც არსებულ წყობილებას იცავს, და მუშებს შო

რის, რომელთაც სურთ მოიპოვონ უკეთესი მომავალი. მდიდართა კლასი დაუბრუნდა იმ ცრუ-მორწმუნოებებს, რომელნიც ასი წელიწადია გაპერა, მასში დაიბუდა ყოვლად გამხეცებულმა გარევნილებამ, ყველა ფიქრობს მხოლოდ თავის თავზე. ყველაფერი ეს ნიშანია მოახლოვებულ დაცემისა. ნიადაგი გეცლებათ ფეხებ ქვეშ, მიწა გიაჭიდებათ, გაუფრთხილდით!

„იმ კლასშა, რომელიც დღემდე ჩნდებოდა ისტორიის ასპარეზზე მხოლოდ აჯანყების დროს, რათა აღმოეფრხვრა რომელიმე უსამართლობა, იმ კლასშა, რომელსაც სტანჯავდნენ მუდამ და ყველგან ყველა მთავრობები,— მუშათა კლასშა— გაიგო ბოროტება და ყველა ტანჯა-წვალება. ძლიერ გონივრულად მოიქცეოდით, რომ ხელს არ შეუშლიდეთ იმის სამართლიანს მოქმედებას...“

„ბურეუაზიას არ შეუძლია დაუყენოს რამე წინ მუშათა კლასს, გარდა ძალმომრეობისა და სისასტიკისა... მაგრამ ძალადობა მხოლოდ აფეთქების მომაახლოვებელია. ბურეუაზიას რომ არ სდომებოდა უსარგებლოდ სისასტიკის ხმარება, იგი დაუთმობდა ადგილს ისეთს ადამიანებს, რომელთაც სწამთ საუკეთესო მომავალი და იღწვიან სამართლიანის საზოგადოებრივის წეს-წყობილების მოსამზადებლად. დევ, მიხედეს ბურეუაზია, რომ, რადგან მას არ შეუძლია მისცეს ადამიანებს ის, რაც იმისთვის საჭიროა ამეამად, ის-ლა დარჩენია მხოლოდ, რომ გაისრისოს მუშათა კლასის ფეხ-ქვეშ, იმ მუშათა კლასისა, რომ მელსაც მოაქვს კაცობრიობისთვის ქეშმარიტი თანასწორობა, კავშირი და თავისუფლება“.